2025
წლიური ანგარიში

ბრიუსელი
დეკემბერი 2025

სარჩევი

წლის მიმოხილვა

რას ვაკეთებთ

გაიცანით ჩვენი ექსპერტები

საჯარო ჩართულობა

ანალიტიკა

წლის მიმოხილვა

2025 წლის თებერვალში თანამოაზრეების პატარა ჯგუფმა დავაფუძნეთ ევროკავშირის ცნობიერების ცენტრი, იმ იმედით, რომ ამ საქმით ჩვენს მოკრძალებულ წვლილს შევიტანდით დემოკრატიის მდგრადობის განმტკიცე-ბასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლაში. თავიდანვე განვსაზღვრეთ, რომ ჩვენი სამიზნე, საქართველოს გარდა, აღმოსავლეთი ევროპის ის ქვეყნებიც იქნებოდნენ, რომლებიც ევროკავშირში გაწევრებას ლამობენ.

სულ რაღაც არასრულ ერთ წელიწადში, მოვახერხეთ იდეიდან ქმედით ანალიტიკურ და სამოქალაქო პლატფორმად ჩამოყალიბება. დღეს ცენტრში უკვე 13 მაღალკვალიფიციური მკვლევარია, დიპლომატიაში და აკადემიურ სფეროში მრავალწლიანი გამოცდილებით. აგრეთვე, ცენტრს მზრუნველობას უწევს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო, რომელიც რჩევებითა და რეკომენდაციებით ეხმარება განვითარებაში.

თუ ბოლომდე დაათვალიერებთ წინამდებარე ანგარიშს, ნახავთ საკმაოდ მდიდარ ანალიტიკური ბაზას - 40-ზე მეტ პოლიტიკის მიმოხილვას, საექსპერტო კომენტარსა თუ თვალსაზრისს, რომლებშიც მიმოხილულია დემოკრატი-ული მმართველობის, ევროინტეგრაციის, რეგიონული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო პოლიტიკის არაერთი აქტუალური თემა. იქვეა, ფართო აუდიტორი-ისთვის განკუთვნილი, საგანმანათლებლო ნაშრომები, რომლე-ბიც ამხელს დეზინფორმაციას, საბჭოთა დროის სტერეოტიპებს და მიზანმიმართულ მანიპულაციას.

ვფიქრობთ, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. სამომავლოდ, ცენტრი გეგმავს თავისი პლატფორმა ფართო საზოგადოებასაც დაუთმოს, სადაც ექსპერტებს ექნებათ საშუალება თავიანთი ნააზრევი თუ კვლევის შედეგები ფართო საზოგადოებას გაუზიარონ.

ცენტრის მკვლევარები აგრეთვე, აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ფორუმებში, კონფერენციებსა თუ საჯარო დისკუსიებში. მათ ხშირად ნახავთ მედია სივრცეში, როგორც საქართველოში, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, რათა ჩვენი სათქმელი მაქსიმალურად დიდ აუდიტორიას გააცნონ.

ამასთან, გვინდა იცოდეთ, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში, ყველაფერი რაც მოვიმოქმედეთ, არა ინსტიტუციური სიძლიერის, არამედ ჩვენი წევრების ენთუზიაზმის შედეგია. მაგრამ იმისთვის, რომ ცენტრი განვავითაროთ და დასახული გეგმები საქმედ ვაქციოთ, აუცილებელია სათანადო დაფინანსება. იმედი გვაქვს, რომ თქვენი მხარდაჭერით, ამ სირთულეს წარმატებით დავძლევთ.

გმადლობთ, რომ დაინტერესდით ჩვენი ცენტრით! გთხოვთ, გაეცნოთ ასევე ჩვენ სოციალურ პლატფორმებს და დაგვიმეგობრდეთ. თქვენი თანადგომა ჩვენი წარმატების საწინდარია.

დირექტორთა საბჭო

სიმართლე, დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობა

იდეიდან საქმემდე

რას ვაკეთებთ

ევროკავშირის ცნობიერების ცენტრი ბრიუსელში მდებარე არა-სამთავრობო, არა-მომგებიანი ორგანიზაციაა. ის ხელს უწყობს დემოკრატიულ რეფორმებს, კარგ მმართველობას და ევროკავშირის ღირებულებებს მთელ აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებული აქცენტით საქართველოზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჩვენი საქმიანობის ცენტრშია, ჩვენი ინიციატივები ვრცელდება ასევე სხვა ქვეყნებზე, რომლებიც ევროპული ინტეგრაციისკენ მიისწრაფვიან. ჩვენ ვცდილობთ წინ აღვუდგეთ საბჭოთა ეპოქის სტერეოტიპებსა და დეზინფორმაციის, რაც აფერხებს დემოკრატიულ პროგრესსა და რეგიონულ თანამშრომლობას.

კვლევის, ადვოკატირებისა და საზოგადოების ჩართულობის გზით, ჩვენ ვაწვდით პოლიტიკის შემქმნელებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ზუსტ, ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციას. დეზინფორმაციაზე რეაგირებით და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობით, ჩვენ ვეხმარებით უფრო ინფორმირებული და მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც შეძლებს რთული გეოპოლიტიკური გამოწვევების გადალახვას.

ჩვენი ინიციატივები მოიცავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, ექსპერტთა დისკუსიებს, პოლიტიკურ რეკომენდაციებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც შექმნილია დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად და ევროპელ პარტნიორებთან თანამშრომლობის განსავითარებლად. მიგვაჩნია, რომ ცოდნა ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია მანიპულაციის წინააღმდეგ.

შემოგვიერთდით გამჭვირვალობის, დემოკრატიისა და ევროპული ღირებულებების განმტკიცების საქმეში.

გაიცანით ჩვენი ექსპერტები

ელჩი დავით დონდუა
თავმჯდომარე

ელჩი დავით დონდუა გამოცდილი ქართველი დიპლომატი და ექსპერტია საერთაშორისო უსაფრთხოების, კონფლიქტის მოგვარებისა და ევროპული ინტეგრაციის საკითხებში 1993-2022 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა მნიშვნელოვან პოზიციებზე, მათ შორის იყო საქართველოს ელჩი ავსტრიაში, საბერძნეთსა და სერბეთის რესპუბლიკაში, ასევე საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა(ეუთო) და ნატოში. დიპლომატიური სამსახურის პარალელურად, დ. დონდუა ეწეოდა აქტიურ აკადემიურ საქმიანობას – სხვადასხვა დროს ის მუშაობდა ასოცირებულ პროფესორად და მოწვეულ ლექტორად სხვადასხვა უნივერსიტეტში.

დოქტორი გიორგი რობაქიძე
აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი რობაქიძე დიპლომატი და საერთაშორისო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და ევროპული ინტეგრაციის ექსპერტია. საქართველოს სახელმწიფო სამსახურში მრავალწლიანი კარიერის მანძილზე (2004–2023) ის იკავებდა სხვადასხვა მნიშვნელოვან პოზიციებს, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და აგრეთვე რეგიონულ უსაფრთხოების მიმართულებით. გარდა დიპლომატიური სამსახურის, გიორგი რობაქიძე არის არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპაში პოპულისტური და რადიკალური პარტიების კვლევის თემატიკაზე.

თეა ფარულავა
საბჭოს წევრი

თეა ფარულავა არის ქართველი ჟურნალისტი, რედაქტორი, კომუნიკაციების ექსპერტი და ბლოგერი, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება მედია სფეროში კულტურული და საერთაშორისო ურთიერთობების გაშუქების კუთხით. ამჟამად თეა ფარულავა მუშაობს ვენაში, სადაც აქტიურად აშუქებს ქართული მედიისთვის, კულტურულ და პოლიტიკურ მოვლენებს როგორც ავსტრიაში ისე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ორ ათწლეულზე მეტი ხნის მანძილზე, თ. ფარულავას ეკავა წამყვანი სარედაქციო და მენეჯერული პოზიციები. იგი ასევე მუშაობდა ბრიუსელში ნატოში საქართველოს მისიაში კომუნიკაციის ოფიცრად და იყო ქართული მედიის კორესპონდენტი შეერთებულ შტატებში.

გაიცანით ჩვენი ექსპერტები

ელჩი თეიმურაზ ჯანჯალია
უფროსი მკვლევარი

ელჩი თეიმურაზ ჯანჯალია გახლავთ კარიერული დიპლომატი და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, რომელსაც მუშაობის 26 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. მისი გზა საჯარო სამსახურში დაიწყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მან გაიარა გზა, სტაჟიორიდან მინისტრის მოადგილედმე.
თემური იყო ლატვიაში საქართველოს ელჩი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, სადაც ის უძღვებოდა ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესებს, ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელებას და სტრატეგიულ კომუნიკაციებს.

ელჩი გოჩა ჯავახიშვილი
უფროსი მკვლევარი

გოჩა ჯავახიშვილი არის ქართველი დიპლომატი და მეცნიერი, რომელსაც აქვს მუშაობის ოცდაათწლიანი გამოცდილება დიპლომატის, საერთაშორისო ურთიერთობების, ფრანკოფონიისა და უმაღლესი განათლების სფეროებში. იგი აღიარებული სპეციალისტია სამხრეთ კავკასიის, ევროპული გეოპოლიტიკისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის მიმართულებით და წლების განმავლობაში იკავებდა მაღალ თანამდებობებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.
იგი მუშაობდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთსა და მონაკოში, აგრეთვე საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად იუნესკოში, ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციაში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში და საერთაშორისო გამოფენათა ბიუროში.

დოქტორი ირაკლი ლაითაძე
უფროსი მკვლევარი

ირაკლი ლაითაძეს დიპლომატიურ სამსახურსა და კერძო სექტორში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა. იგი მუშაობდა ბრიუსელში, ევროკავშირში საქართველოს მისიასა და ბელგიაში, ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგში საქართველოს საელჩოში.
ირაკლი ლაითაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მადრიდის დიპლომატიური სკოლა (მაგისტრის ხარისხით) და კემბრიჯის უნივერსიტეტი (MBA). მას აქვს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დოქტორის ხარისხი (Magna cum laude) თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტიდან.

გაიცანით ჩვენი ექსპერტები

თორნიკე ფარულავა

უფროსი მკვლევარი

თორნიკე ფარულავა არის ქართველი დიპლომატი და უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტი, რომელსაც ორ ათწლეულზე მეტი გამოცდილება აქვს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და საერთაშორისო უსაფრთხოებაში. მას ეკავა მაღალი თანამდებობები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, იყო ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტისა და უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი. თორნიკეს აქვს ნატოში საქართველოს მისიაში მუშაობის რვაწლიანი გამოცდილება, სადაც იკავებდა პოლიტიკური მრჩევლისა და მოგვიანებით მისიის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობებს.

ნიკოლოზ ხატიაშვილი

მკვლევარი

ნიკოლოზ ხატიაშვილი ყოფილი დიპლომატი და წამყვანი ქართული ანალიტიკური ცენტრის - ჯეოქეისის უფროსი მკვლევარია. ის ასევე დასავლური დემოკრატიის და ლიდერობის ინსტიტუტის თანადამფუძნებელია. 18 წლის განმავლობაში ის მუშაობდა როგორც საჯარო, ასევე, კერძო სექტორებში მათ შორის 6 წელი საგარეო საქმეთა სამინისტროში ხოლო 8 წელი ეკავა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის უფროსის თანამდებობა.

ლანა კურტანიძე

მკვლევარი

ლანა კურტანიძე ევროპის კოლეჯის კურსდამთავრებულია, სადაც მან მიიღო მაგისტრის ხარისხი ევროპული პოლიტიკისა და მმართველობის მეცნიერებებში. მისი ექსპერტიზა მოიცავს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას, აღმოსავლეთ პარტნიორობასა და გაფართოების პოლიტიკას.

თამთა ფანცულაია

მკვლევარი

თამთა ფანცულაია არის ეუთოს მშვიდობისა და უსაფრთხოების პროგრამის 2025 წლის სტიპენდიანტი. მას დამთავრებული აქვს ვილნიუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი მაგისტრის ხარისხით, სპეციალიზირებულია აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის საკითხებზე. მისი კვლევები ასევე მოიცავს ისეთ თემებს როგორიცაა უსაფრთხოების საკითხები, კონფლიქტების მოგვარება და მშვიდობის უზრუნველყოფა, ევროკავშირის გაფართოება და აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხრეთ კავკასიის რეგიონს.

გაიცანით ჩვენი ექსპერტები

ოლგა სპირანდი

მკვლევარი

ოლგა სპირანდი გამოცდილი ქართველი საჯარო მოხელე და დიპლომატია, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს ევროატლანტიკური ინტეგრაციის, საერთაშორისო უსაფრთხოების, კონფლიქტების მოგვარებისა და სტრატეგიული პოლიტიკის შემუშავების სფეროში. მან მოიპოვა ერთგული პროფესიონალის რეპუტაცია 17 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილებით, რომლებიც ძირითადად საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, შერიგების პოლიტიკასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას ეხებოდა.

სალომე ტოლიაშვილი

მკვლევარი

სალომე ტოლიაშვილი არის ევროპის კოლეჯის კურსდამთავრებული, სადაც სწავლობდა ევროპის პოლიტიკასა და მმართველობას (POL) ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სრული დაფინანსებით. ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის მიმართულებით. მისი კვლევის სფერო მოიცავს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას, განსაკუთრებული აქცენტით აღმოსავლეთ პარტნიორობაზე, ევროკავშირის ინტეგრაციასა და გაფართოებაზე, ასევე სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკურ პროცესებზე.

გიორგი ტუმასიანი

მკვლევარი

გიორგი ტუმასიანი თბილისიდან არის ლიდერი, დიპლომატი და საქართველოსა და სომხეთის ევროატლანტიკური მომავლის დამცველი. ის საქართველოს მთავრობის მიერ ღია კონკურსის საფუძველზე შეირჩა გაეროში საქართველოს ახალგაზრდული წარმომადგენლის თანამდებობაზე (2017–2018). ასევე, ღია კონკურსის საფუძველზე, ევროკავშირის სამეზობლოსა და გაფართოების საკითხებში განყოფილებამ ის შეარჩია ახალგაზრდა ევროპელ ელჩად საქართველოდან (2017–2018). გიორგი იყო საქართველოს სომხური სათემო პლატფორმის თავმჯდომარე და სამოქალაქო ინიციატივების 'მდგრადი განვითარების მიზნების კავკასიაში', 'დიპლომატიის კავკასიური აკადემიის' და 'ახალგაზრდული მოძრაობა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შერიგების' დამფუძნებელი დირექტორი.

ევროპის წინსვლა გუნდური მუშაობის გარეშე შეუძლებელია

საჯარო ჩართულობა

„შესაძლებლობების შექმნა თანამშრომლობისა და საჯარო ჩართულობის მეშვეობით“

საჯარო ჩართულობა

Awareness Centre

“

ჩვენ ვახდენთ ჩვენი ექსპერტიზის, მოსაზრებების გაზიარებას და პარტნიორებთან თანამშრომლობას ევროპული ინტეგრაციის წინსვლისა და დემოკრატიის გაძლიერების მიზნით.

ღონისძიებები და აქტივობები

ანალიტიკა

თვალსაზრისი

ციხესიმაგრე დასავლეთი და სტრატეგიული გამოცდა საქართველოსთვის

ოლგა სპირანდი
დეკემბერი 2025

ნეიტრალიტეტი რუსული ოკუპაციის ჩრდილში და მისი სტრატეგიული რისკები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის

ნიკოლოზ ხატიაშვილი
ნოემბერი 2025

ევროპის აღმოსავლეთი საზღვარი: უსაფრთხოებისა და ინტეგრაციის დაუმთავრებელი საქმე

დავით დონდუა
ნოემბერი 2025

ევროკავშირის რეფორმირება გაფართოებისთვის

გიორგი რობაქიძე
ოქტომბერი 2025

აღმოსავლეთ პარტნიორობა ევროპის უსაფრთხოების წინა ხაზზე: რატომ არის სამხრეთ კავკასია მნიშვნელოვანი

თამთა ფანცულაია
სექტემბერი 2025

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის გასააზრებლად

სალომე ტოლიაშვილი
ივლისი 2025

ანალიტიკა

EU Awareness Centre

,როპული მოძრაობა: ვიდან რეალობამდე

[თეა ფარულავა
აპრილი 2025]

შეუძლია თუ არა აშშ-რუსეთის მოლაპარაკებებს უკრაინაში ომის დასრულება? რისკები და შესაძლებლობები ევროკავშირისთვის

[გიორგი რობაქიძე
მარტი 2025]

პუტინის ომი უკრაინაში: არასწორი გათვლა თუ გათვლილი რისკი?

[,დავით დონდუას
მარტი 2025]

კომენტარი

ჩვენი კომენტარები პოლიტიკურ, სოციალურ და საერთაშორისო მოვლენებზე დროულ რეფლექსიებს გვაწვდის.

საქართველოს სტრატეგიული მომავალი: აღმავალი ცენტრი, თუ ჩამქრალი წერტილი?

[თეიმურაზ ჯანჯალია
,დეკემბერი 2025]

აშშ-ს 2025 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია

[,დავით დონდუა
,დეკემბერი 2025]

ანალიტიკა

დისტანციის ფასი: რა მოხდება, თუ საქართველო დასავლეთს ზურგს შეაქცევს?

ნიკოლოზ ხატიაშვილის
ნოემბერი 2025

საქართველოს ევროპული ინტეგრაცია: საკანონმდებლო უკუსვლა, პოლიტიკური რეგრესი, საზოგადოების მტკიცებ ნება - არსებობს თუ არა გამოსავალი?

თეიმურაზ ჯანჯალია
ნოემბერი 2025

ბრძოლა საქართველოსთვის: უკანასკნელი შანსი ევროატლანტიკური მომავლის გადასარჩენად

ოლგა სპირანდი
ნოემბერი 2025

რუსეთის ხელოვნური ინტელექტის შეტევა და ევროპის კოგნიტური თავდაცვა

დავით დონდუა
ნოემბერი 2025

ხელოვნური ინტელექტის ფაქტორი თანამედროვე დიპლომატიაში

დავით დონდუა
ოქტომბერი 2025

რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობები: პრაგმატიზმსა და კონფრონტაციას შორის

გიორგი რობაქიძე
სექტემბერი 2025

ანალიტიკა

ავსტრია: ნეიტრალიტეტი აღარ იძლევა უსაფრთხოების გარანტიას

[თეა ფარულავა
ივლისი 2025]

უკრაინა უსმენს, საქართველო კი რეპრესიებს ახორციელებს

[თეა ფარულავა
ივლისი 2025]

როტერდამის პორტი - ნატო-ევროკავშირის თავდაცვის მზადყოფნის ფრონტის ხაზი

[დავით დონდუა
ივლისი 2025]

დიდი ბრიტანეთის მზარდი როლი ევროპის ახალ უსაფრთხოების არქიტექტურაში

[მეგი ბენია
ივლისი 2025]

2025 წლის ნატოს სამიტის გაკვეთილები: ევროპისთვის იმპულსის შექმნა

[დავით დონდუა
ივნისი 2025]

საქართველოს ევროპული მოგზაურობა: ბრძოლა დროსთან

[დავით დონდუა
ივნისი 2025]

ანალიტიკა

ევროკავშირი დეტალებში

ევროპის დემოკრატიის ფარი (2025)

[გიორგი რობაქიძე
დეკემბერი 2025]

კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები ხელოვნური ინტელექტის გამოყენების აკრძალულ პრაქტიკებზე (EU) 2024/1689

[გიორგი რობაქიძე
სექტემბერი 2025]

ევროკავშირის ახალი სავაჭრო შეთანხმებები MERCOSUR-სა და მექსიკასთან

[გიორგი რობაქიძე
სექტემბერი 2025]

[უსაფრთხოების ქმედება ევროპისათვის (SAFE)]
[ევროპული]

[გიორგი რობაქიძე
ივნისი 2025]

ევროკავშირის სტრატეგია უსაფრთხო, კეთილდღეობით აღსავსე და მედეგი შავი ზღვის რეგიონისთვის

[გიორგი რობაქიძე
ივნისი 2025]

„ევროკავშირი დეტალებში“ წარმოგიდგენთ ევროკავშირის რიუული პოლიტიკის, ინსტიტუტებისა და ინიციატივების მკაფიო და გასაგებ ახსნა-განმარტებებს.

ანალიტიკა

როგორ შეიქმნა ევროპის დროშა

თეა ფარულავა
მაისი 2025

ბლოგი

ევროპა გზაჯვარედინზე: ძირითადი დასკვნები ევროპული საბჭოს ბოლო სხდომიდან

გიორგი რობაქიძე
მარტი 2025

გამოწვევები, რომლებიც ასე აშკარა იყო ათი წლის წინ

თეა ფარულავა
თებერვალი 2025

მანიპულაცია

„ევროპაში ადამიანებს წვავდნენ განსხვავებული აზრის გამო. ჯორდანო ბრუნო დაწვეს იმის გამო, რომ ადასტურებდა დედამიწის ბრუნვას. დღეს კი, ადამიანებს წვავენ იმის გამო, რომ მათ მიაჩნიათ - კაცი - კაცია და ქალი - ქალიაო. ევროპას ვუსურვებ გამოჯანმრთელებას!“ - **განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.**

„საქართველოში არავინ ლანძღავს და არ ესხმის თავს უცხოელ დიპლომატებს. პირიქით, ჩვენ დიდ პატივს ვცემთ იმ ურთიერთობებს, რომლებიც საქართველომ წლების განმავლობაში განავითარა ჩვენს პარტნიორებთან, ჩვენს მეგობრებთან“ - **მაკა ბოჭორიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი**.

დეჟა ვუ: ისტორიის გაკვეთილები და რუსეთის მიმდინარე აგრესია

თეა ფარულავა
იანვარი 2025

გაეცანი ფაქტებს

„ცოდნა
ძლიერდება
გაზიარებით“

„თუ ჩვენი მისია გეხმიანებათ,
შემოგვიერთდით –
ითანამშრომლეთ ჩვენთან,
დაგვიჭირეთ მხარი ან გახდით ჩვენი
საზოგადოების ნაწილი.“

დაგვიკავშირდით

Info@euawareness.org

www.euawareness.org